ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №8

2014 წლის 11 აპრილი
ქ. ლანჩხუთი

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N56 დადგენილებაში (ვებგვერდი, 30/12/2013) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები I თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ბალანსი 1-ლი მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება მე-2 მუხლის თანახმად.

გ) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შემოსავლები მე-3 მუხლის თანახმად;

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის გადასახადები მე-4 მუხლის თანახმად;

ე) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად;

ვ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად;

ზ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად;

თ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად;

ი) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად;

კ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი მე–10 მუხლის თანახმად;

ლ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი მე–11 მუხლის თანახმად;

მ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა მე–12 მუხლის თანახმად;

2. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები II თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები მე–13 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები მე–14 მუხლის თანახმად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან გიგინეიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმა

თავი I

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

**მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | | | 2014 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | **9945488** | **12641570** | **6553681** | **6087889** | **11251367** | **4124547** | **7126820** |
| გადასახადები | 965894 | 881056 | | 881056 | 840000 | | 840000 |
| გრანტები | 8557112 | 11138151 | 6553681 | 4584470 | 10031947 | 4124547 | 5907400 |
| სხვა შემოსავლები | 422482 | 622363 | | 622363 | 379420 | | 379420 |
| ხარჯები | **6168522** | **6014201** | **34800** | **5979401** | **7562600** | **0** | **7562600** |
| შრომის ანაზღაურება | 1221475 | 1234509 | | 1234509 | 2013210 | | 2013210 |
| საქონელი და მომსახურება | 1084263 | 1296688 | 0 | 1296688 | 971060 | 0 | 971060 |
| პროცენტი | | | | | | | |
| სუბსიდიები | 3231719 | 2982162 | 34800 | 2947362 | 4076400 | 0 | 4076400 |
| გრანტები | | | | | | | |
| სოციალური უზრუნველყოფა | 624920 | 484403 | | 484403 | 482100 | | 482100 |
| სხვა ხარჯები | 6145 | 16439 | | 16439 | 19830 | | 19830 |
| | | | | | | | |
| საოპერაციო სალდო | **3776966** | **6627369** | **6518881** | **108488** | **3688767** | **4124547** | **-435780** |
| | | | | | | | |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 3879982 | 6510309 | 6476380 | 33929 | 3886147 | 4124547 | -238400 |
| ზრდა | 4007248 | 6551840 | 6476380 | 75460 | 4148347 | 4124547 | 23800 |
| კლება | 127266 | 41531 | | 41531 | 262200 | | 262200 |
| | | | | | | | |
| მთლიანი სალდო | **-103016** | **117060** | **42501** | **74559** | **-197380** | **0** | **-197380** |
| | | | | | | | |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -103016 | 117060 | 42501 | 74559 | -197380 | 0 | -197380 |
| ზრდა | 105388 | 117060 | 42501 | 74559 | | | |
| კლება | 208404 | 0 | | | 197380 | | 197380 |
| | | | | | | | |
| ბალანსი | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | | | 2014 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 10072754 | 12683101 | 6553681 | 6129420 | 11513567 | 4124547 | 7389020 |
| შემოსავლები | 9945488 | 12641570 | 6553681 | 6087889 | 11251367 | 4124547 | 7126820 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 127266 | 41531 | | 41531 | 262200 | | 262200 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0 | 0 | | | | | |
| ვალდებულებების ზრდა | 0 | 0 | | | | | |
| | | | | | | | |
| გადასახდელები | 10175770 | 12566041 | 6511180 | 6054861 | 11710947 | 4124547 | 7586400 |
| ხარჯები | 6168522 | 6014201 | 34800 | 5979401 | 7562600 | 0 | 7562600 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 4007248 | 6551840 | 6476380 | 75460 | 4148347 | 4124547 | 23800 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | | | | | | | |
| ვალდებულებების კლება | | | | | | | |
| ნაშთის ცვლილება | -103016 | 117060 | 42501 | 74559 | -197380 | 0 | -197380 |

მუხლი 3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 11251367 ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა | | | 2014 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 9945488 | 12641570 | 6553681 | 6087889 | 11251367 | 4124547 | 7126820 |
| გადასახადები | 965894 | 881056 | | 881056 | 840000 | 0 | 840000 |
| გრანტები | 8557112 | 11138151 | 6553681 | 4584470 | 10031947 | 4124547 | 5907400 |
| სხვა შემოსავლები | 422482 | 622363 | | 622363 | 379420 | | 379420 |

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 840000 ლარის ოდენობით

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა | | | 2014 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები | 965894 | 881056 | 0 | 881056 | 840000 | 0 | 840000 |
| ქონების გადასახადი | 965894 | 881056 | 0 | 881056 | 840000 | 0 | 840000 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 294481 | 172764 | | 172764 | 190000 | | 190000 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 0 | 0 | | | 0 | | |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 15485 | 10724 | | 10724 | 10000 | | 10000 |
| სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 98687 | 108962 | | 108962 | 60000 | | 60000 |
| არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 557241 | 588606 | | 588606 | 580000 | | 580000 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 0 | 0 | | | 0 | | |
| სხვა გადასახადები | 0 | 0 | | | 0 | | |

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10031947 ლარის ოდენობით

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **გრანტები** | 8557112 | 11138151 | 10031947 |
| **სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი** | 8557112 | 11138151 | 10031947 |
| **ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები** | 4561600 | 4584470 | 5907400 |
| **გათანაბრებითი ტრანსფერი** | 4341600 | 4364470 | 5687400 |
| **მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად** | 220000 | 220000 | 220000 |
| **ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები** | 3995512 | 6553681 | 4124547 |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 2825216 | 1480663 | 3303563 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 838296 | 838408 | 820984 |
| საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 300000 | | |

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 32000,0 | 37500,0 | |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე | | 4197110 | |

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 379420 ლარის ოდენობით

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| სხვა შემოსავლები | 422482 | 622363 | 379420 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 177779 | 150084 | 116000 |
| პროცენტები | 104932 | 49595 | 30000 |
| რენტა | 72847 | 100489 | 86000 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 56424 | 75826 | 55000 |
| შემოსავალი და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 4784 | 17075 | 28000 |
| მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის | 11639 | 7588 | 3000 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 42209 | 2788 | 10000 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 42209 | 2788 | 10000 |
| სატენდერო მოსაკრებელი | | | |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 33000 | 0 | 0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 9209 | 2788 | 10000 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 201735 | 386888 | 253420 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 759 | 82603 | |

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის  ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7562600  ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | | | 2014 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **ხარჯები** | 6168522 | 6014201 | 34800 | 5979401 | 7562600 | 0 | 7562600 |
| **შრომის ანაზღაურება** | 1221475 | 1234509 | 0 | 1234509 | 2013210 | 0 | 2013210 |
| **საქონელი და მომსახურება** | 1084263 | 1296688 | 0 | 1296688 | 971060 | 0 | 971060 |
| **სუბსიდიები** | 3231719 | 2982162 | 34800 | 2947362 | 4076400 | 0 | 4076400 |

<table>
<tr><th rowspan="3">დასახელება</th><th rowspan="3">2012 წლის ფაქტი</th><th colspan="3">2013 წლის ფაქტი</th><th colspan="3">2014 წლის გეგმა</th></tr>
<tr><th rowspan="2">სულ</th><th colspan="2">მათ შორის</th><th rowspan="2">სულ</th><th colspan="2">მათ შორის</th></tr>
<tr><th>სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები</th><th>საკუთარი შემოსავლები</th><th>სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები</th><th>საკუთარი შემოსავლები</th></tr>
<tr><td>სოციალური უზრუნველყოფა</td><td>624920</td><td>484403</td><td>0</td><td>484403</td><td>482100</td><td>0</td><td>482100</td></tr>
<tr><td>სხვა ხარჯები</td><td>6145</td><td>16439</td><td>0</td><td>16439</td><td>19830</td><td>0</td><td>19830</td></tr>
</table>

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
მათ შორის:
ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 4148347 ლარის ოდენობით, მათ შორის:

| კოდი | დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 169234 | 2510 | 11500 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 83053 | 0 | 0 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 2665190 | 6549330 | 4013147 |
| 04 00 | განათლება | 172558 | 0 | 111400 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 917213 | 0 | 0 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 0 | 0 | 12300 |
| | სულ ჯამი | 4007248 | 6551840 | 4148347 |

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 262200 ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **არაფინანსური აქტივების კლება** | 127266 | 41531 | 262200 |
| **ძირითადი აქტივები** | 17916 | 16488 | 61600 |
| **არაწარმოებული აქტივები** | 109350 | 25043 | 200600 |
| მიწა | 109350 | 25043 | 200600 |

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 701 | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **1855944** | **1633218** | **2358380** |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1850031 | 1633218 | 2358380 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1801032 | 1603238 | 2328380 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 48999 | 29980 | 30000 |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 5913 | 0 | 0 |
| 702 | **თავდაცვა** | **119412** | **107282** | **151750** |
| 7022 | სამოქალაქო თავდაცვა | 119412 | 107282 | 151750 |
| 703 | **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** | **347608** | **221949** | **338170** |
| 7031 | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა | 108895 | 0 | 0 |
| 7032 | ხანძარსაწინაარმდეგო დაცვა | 238713 | 221949 | 338170 |
| 704 | **ეკონომიკური საქმიანობა** | **1575121** | **3503305** | **2668121** |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 104674 | 88050 | 73200 |
| 70421 | სოფლის მეურნეობა | 104674 | 88050 | 73200 |
| 7045 | ტრანსპორტი | 1470447 | 3415255 | 2594921 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 1470447 | 3415255 | 2594921 |
| 705 | **გარემოს დაცვა** | **531452** | **336649** | **357400** |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება | 531452 | 336649 | 357400 |
| 706 | **საბინაო კომუნალური მეურნეობა** | **1475359** | **2712627** | **1798326** |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 79436 | 0 | 0 |
| 7063 | წყალმომარაგება | 44909 | 680869 | 5000 |
| 7064 | გარე განათება | 111252 | 217814 | 250100 |
| 7065 | გამოყენებითი კვლევები საბინაო კომუნალურ მეურნეობაში | 838296 | 838391 | 820984 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში | 401466 | 975553 | 722242 |
| 707 | **ჯანმრთელობის დაცვა** | **119635** | **111390** | **129100** |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 119635 | 111390 | 129100 |
| 7076 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | 0 | 0 | 0 |
| 708 | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **2715012** | **1944274** | **2191200** |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 1668986 | 1049765 | 1218600 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1000576 | 854509 | 947600 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 45450 | 40000 | 25000 |
| 709 | **განათლება** | **893614** | **845496** | **1358900** |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 874534 | 845496 | 1358900 |

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 7092 | ზოგადი განათლება | 19080 | 0 | 0 |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | 19080 | 0 | 0 |
| 710 | **სოციალური დაცვა** | **542613** | **381810** | **359600** |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 80492 | 71303 | 45000 |
| 7106 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | 113576 | 111620 | 100000 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 9163 | 9630 | 10000 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 339382 | 189257 | 204600 |
| | სულ | **10175770** | **11798000** | **11710947** |

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 30000 ლარის ოდენობით . სარეზერვო ფონდიდან თანხებს გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ გამოყოფს საფინანსო ორგანო.

მუხლი 11. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 220000 ლარი მიიმართოს:

ა) ,, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 100000 ლარი.

ბ) ,, სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ’’ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 115000 ლარი.

გ) ,, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შსახებ’’ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5000 ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 12. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი II

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

### მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება. სახანძრო სამაშველო სამსახურის კომუნალური პირობების გაუმჯობესება.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**1.1. საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)**

სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით სახანძრო სამაშველო სამსახურის კომუნალური პირობების გაუმჯობესება.

**1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

**2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მშენებარე გზების რეაბილიტაცია.

**2.1.1 გზების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქ.მთავრობის 13.01.2014 წლის #34 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულში თამარ მეფის, ჩხაიძის, ზარათაშვილის, ნინოშვილის,კვირკველიას, ქუჩების რეაბილიტაცია და სუფსის ცენტრის გზის რეაბილიტაცია, კოსტავას ქუჩაზე გზის მოასფალტება, აღმაშენებლის ქუჩაზე გზის მოასფალტება, ცინცაძის ქუჩაზე გზის მოასფალტება და რკინა ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა, გურამიშვილის ქუჩაზე გზის მოასფალტება და რკინა ბეტონის არხის მოწყობა, ვადაჭკორიას ქუჩაზე გზის მოასფალტება, ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზის გადახვნა, მოხრეშვა და სანიაღვრე არხების მოწყობა.

ასევე განხორციელდება საქართველოს პრემიერ მინისტრის 08/04/2014 წლის #85 ბრძანებით გამოყოფილი სახსრებით სსიპ- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ შუხუთი -აცანა-მამათის გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება.

**2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება

მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, წყალსადენის შიდა ქსელის მოვლა შენახვა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

**2.2.1 სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქ.მთავრობის 13.01.2014 წლის #34 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულში თბილისის ქუჩაზე რკინა ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა, კუპრეიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა, გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში იმნაძეების უბანში რკინა ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა

**2.2.2 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)**

მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნარჩენების დაგვა–დასუფთავება და მისი ოპერატიულად გატანა. მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

**2.2.3. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)**

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს სოფლის მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების უზრუნველყოფა, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება წყალსადენის ექსპლოატაციაზე გახარჯული ღირებულების გადახდა.

**2.2.4. გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)**

დღე–ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია.

**2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების მოვლა და გამწვანების სამუშაოების ჩატარება, სასაფლაოების მოვლა პატრონობა.

**2.3.1 კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების მოვლა და გამწვანების სამუშაოების ჩატარება, სასაფლაოების მოვლა პატრონობა.

**2.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს მთავრობის 20/04/2014 წლის #471 განკარგულებით გათვალისწინებული პროექტები

**2.5. აგრობიზნესცენტრი (პროგრამული კოდი 03 05)**

ქვეპროგრამა ახორციელებს მუნიციპალიტეტში ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას.

**2.6 საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვებისათვის გამოყოფილი თანხა (პროგრამული კოდი 03 06)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ინფრასტრუქტურის სამუშაოებისათვის საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა

## 3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა .

### 3.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, გაიხსნას ბაგა–ბაღები ისეთ სოფლებში, სადაც კონტიგენტის დიდი რაოდენობა არსებობს და უზრუნველყოფილი იქნას მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურეობა. ქალაქის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი, რომელიც აერთიანებს 20 საბავშვო ბაღს, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1500–ზე მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში სწავლა უფასოა , აღნიშნული თანხით ძირითადად ფინანსდება ბავშვების კვების ხარჯები. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

## 4 . კულტურა, რელიგია , ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

### 4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში. 2014 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.

პროგრამით ხორციელდება სპორტული ცენტრის, საფეხბურთო კლუბის და საფეხბურთო სკოლის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა. ასევე განხორციელდება სტადიონის მოვლა პატრონობის ხარჯების დაფინანსება.

#### 4.1.1 შპს ლანჩხუთის გურია (პროგრამული კოდი 05 01 02)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი განახორციელებს სტადიონის მოვლა პატრონობის ხარჯების დაფინანსებას.

4.1.2 საფეხბურთო კლუბი გურია (პროგრამული კოდი 05 01 03)

მუნიციპალიტეტი ახორციელებს მუნიციპალური საფეხბურთო კლუბ გურიას ფინანსურ მხარდაჭერას, რომელიც აერთიანებს 25 სპორტსმენს და მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

4.1.3 სპორტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სისტემატიურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და დამკვიდრება. სკოლა აერთიანებს მიუდოს, ბალახის ჰოკეის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, ცურვის, კარატე დოს, რაგბის, თავისუფალი ჭიდაობის, ბერძნულ რომაული ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, ხელბურთის, კრივის სპორტულ წრეებს, სადაც გაერთიანებულია 335 სპორტსმენი. მუნიციპალიტეტიდან ფინანსდება ყველა მიმდინარე ხარჯი.

4.1.4 ფეხბურთის სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საფეხბურთო სკოლის ყველა ხარჯის დაფინანსებას, რომელიც ემსახურება ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სისტემატიურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში და მომავალი თაობების ჩამოყალიბებას პროფესიონალ ფეხბურთელებად.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აგრძელებს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას. განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, თეატრალური , მუსიკალური, სახვითი, ქორეოგრაფიული ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში გამოფენის მოწყობა, ასევე სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1 კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალური კულტურის ცენტრი, რომელიც ეწევა მოსახლეობის კულტურულ საგანმანათლებლო და შემეცნებით მოღვაწეობას; ხალხური ხელოვნების ყველა დარგის განვითარების ხელშეწყობას; ეროვნული ტრადიციების წეს ჩვეულებების პოპულარიზაციას; ფოლკლორული ანსამბლების ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების საქმიანობის ხელშეწყობას.

მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებას მიზნობრივი წრეების, სტუდიების, ფოლკლორული ანსაბლების ჩამოყალიბებას.

4.2.2 ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 02)

მოსახლეობის მოთხოვნების ინტერესების შესწავლა და ანალიზი, მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნა. ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის მასალების მოპოვება, ქსელი აერთიანებს 14 ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკა ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: ქალაქის და სოფლის ბიბლიოთეკების ხელშეწყობას; წიგნადი ფონდის შევსებას თანამედროვე ლიტერატურით და დაკომპლექტებას ყველა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით.

4.2.3 მუზეუმები (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურული ობიქტების მოძიებას და პოპულარიზაციას, სამუზეუმო საქმიანობისთვის ხელშეწყობას. ქსელი აერთიანებს 3 მუზეუმს.

4.2.4. სახელოვნებო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 04)

მუნიციპალიტეტი ახორციელებს სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას მათ შორის:

- ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მ.ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დაფინანსებას, სადაც განათლებას იღებს 135–ზე მეტი ბავშვი, სწავლის გადასახადი შეადგენს 15 ლარს, საკუთარი სახსრებით ფინანსდება ნაწილობრივ ხელფასი და ხარჯები მთლიანად, სუფსიდიით ხდება ხელფასის დაფინანსება. სკოლი მიზანია მიაღებინოს მოსწავლეებს მუსიკალური განათლება, წარმატებული მოსწავლეების გამოსავლენად ჩაატაროს საანგარიშო კონცერტები.
- ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის სამუსიკო სკოლა, სადაც განათლებას იღებს 105 ბავშვი, სწავლის გადასახადი შეადგენს 15 ლარს, საკუთარი სახსრებით ფინანსდება ნაწილობრივ ხელფასი და ხარჯები მთლიანად, სუფსიდიით ხდება ხელფასის დაფინანსება.
- ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა, სადაც განათლებას იღებს 100–მდე ბავშვი, სუფსიდიით ხდება ხელფასის და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. სკოლის მიზანია მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამხატვრო განათლება, გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები.

**4.2.5. ტურიზმის განვითარების ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 05)**

